ხელშეკრულება N დ/1
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

25 თებერვალი 2019 წელი

ქ. თბილისი

ერთის მხრივ, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღი“ (შემდგომში „შემსყიდველი”) წარმოდგენილი დირექტორის თამაზ დარჩიძის სახით და მეორე მხრივ შპს “მეტრომარტ” (შემდგომში „მიმწოდებელი”) წარმოდგენილი დირექტორის ნინო ფირცხალავას სახით, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის "ს¹" ქვეპუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის ფორმით დებენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების ტერმინების განმარტება

1.1. „ხელშეკრულება“ - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

1.2. „შემსყიდველი“ - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.3. „მიმწოდებელი“ - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.4. „საქონელი“ - წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს 1 (ერთი) ცალი პლანშეტის (Tablets/Acer/Acer Switch 5 Core I5 4/256GB (Guam_KL)/NT.LDSER.008) სახელმწიფო შესყიდვა.

2.2. კლასიფიკატორის კოდი: CPV 30213200 - პლანშეტური კომპიუტერები (ტაბლეტები).

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 2699,99 (ორი ათას ექვსას ოთხმოცდაცხრამეტი ლარი და ოთხმოცდაცხრამეტი თეთრი) ლარს.

3.2. ხელშეკრულების ფასი შეიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯს, დაკავშირებულს მოწოდებასთან, მათ შორის კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში.

4.2. დაფინანსების წყარო - დარვინის პროექტის-„საქართველოში გავრცელებული დაცვას დაქვემდებარებული ეკონომიკური მნიშვნელობის კერძოდ ველური ხილის და კაკლოვანი მცენარეების კონსერვაცია და მდგრადი გამოყენება მოსახლეობის კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად“ სახსრები.

4.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს მიწოდებული საქონლის შესაბამისად გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

4.4. შემსყიდველის მიერ მიწოდებული საქონლის ანაზღაურება მოხდება მიმწოდებლის მიერ მიღება-ჩაბარების აქტზე ხელის მოწერიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

5. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. საქონელი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5.2. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს ა(ა)იპ „საქართველოს ეროვნული ბოტანუკური ბაღი“-ს ცენარეთა კონსერვაციის განყოფილების უფროსი ცირა ფანცულაია.

6. საქონლის მიწოდების ვადა

6.1. საქონლის მიწოდების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2019 წლის 4 მარტის ჩათვლით.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობები

7.1. შემსყიდველს უფლება აქვს შეამოწმოს საქონლის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და განახორციელოს ხარისხის კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე. შემსყიდველის მხრიდან ინსპექტირებას უზრუნველყოფს ცენარეთა კონსერვაციის განყოფილების უფროსი ცირა ფანცულაია.

7.2. შემსყიდველი ვალდებულია საკუთარი სახსრებით უზრუნველყოს ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

7.3. შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს მიწოდებული საქონლის ღირებულება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

7.4. მიმწოდებელს უფლება აქვს მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

7.5. მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს საქონელი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.

8.2. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

9.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9.3. შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება, ასევე დააკისროს მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესის შესაბამისად:

ა) თუ მიმწოდებელი არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს;

ბ) თუ მიმწოდებელი სისტემატიურად და/ან უხეშად არღვევს ხელშეკრულების პირობებს;

გ) იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მხრიდან საქონლის მიწოდების ვადების დარღვევის პერიოდი აღემატება 10 (ათი) კალენდარულ დღეს ან ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1%-ს;

დ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ე) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;

10. დაუძლეველი ძალა

10.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულების შესრუულების შეუძლებლობის შესახებ.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების და მოლაპარაკების გზით. იმ შემთხვევაში, თუ შეთანხმება არ იქნება მიღწეული დავის წარმოშობიდან 30 დღის განმავლობაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ თბილისის საქალაქო სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ხელშეკრულების ენა და მოქმედების ვადები

12.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ერთი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

12.2. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერიდან და მოქმედებს 2019 წლის 30 აპრილის ჩათვლით.

13. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:
ა(ა)იპ -„საქართველოს ეროვნული ბოტანიკურ ბაღი“
მის: ქ. თბილისი, ბოტანიკური ქ. #1
ს/კ: 404405960
ბანკი: სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი TRESGE22
ანგ. #741 887 499

თამაზ დარჩიძე
დირექტორი

მიმწოდებელი:
შპს „მეტრომარტ“

მის: ქ. თბილისი, რკინიგზის ცენტრალური სადგური.
ს/კ: 401975662
ბანკი: თიბისი ბანკი
ბანკის კოდი: TBCBGE22
ა/ა: GE 50TB 7716 6360 2010 0001

ნინო ფირცხალავა
დირექტორი

მიღება-ჩაბარების აქტი #დ/1-1

ქ. თბილისი

26 თებერვალი 2019 წელი

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღი“ წარმოდგენილი ცენარეთა კონსერვაციის განყოფილების უფროსის ცირა ფანცულაიას სახით და მეორეს მხრივ, შპს “მეტრომარტ” წარმოდგენილი დირექტორის ნინო ფირცხალავას სახით ვადასტურებთ, რომ 2019 წლის 25 თებერვლის #დ/1 ხელშეკრულების პირობების თანახმად მიწოდებულ იქნა 1 (ერთი) ცალი პლანშეტის (Tablets/Acer/Acer Switch 5 Core I5 4/256GB (Guam_KL)/NT.LDSER.008), რომლის ღირებულებამ შეადგინა 2699,99 (ორი ათას ექვსას ოთხმოცდაცხრამეტი ლარი და ოთხმოცდაცხრამეტი თეთრი)ლარი.
აქტი სწორია და ვადასტურებთ ხელისმოწერით.

ა(ა)იპ - საქართველოს ეროვნული
ბოტანიკური ბაღი

ცირა ფანცულაია
ცენარეთა კონსერვაციის განყოფილების უფროსი

შპს “მეტრომარტ”

ნინო ფირცხალავა
დირექტორი